ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3234957

ნომერი: AR1497102

თარიღი : 20.04.2017

გაცემის თარიღი : 04.05.2017

გაცნობის თარიღი : 04.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ს. ჩიქოვანი , N 27 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ს. ჩიქოვანი , N 25 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩაილური , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან გვრიტიშვილი პ/ნ 01024051191
- თბილისი ახალშენის ქ. N 26

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1497102 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქალაქ თბილისში , #01.10.17.045.022 საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის გაცემას და ითხოვთ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 25 აპრილის #3226321 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა ს. ჩიქოვანი , # 27 /ქუჩა ს. ჩიქოვანი , #25 / ქუჩა ჩაილური , # 4, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.10.17.045.022), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 25.04.2017 წ-დან 25.04.2020 წ-ის ჩათვლით.

სამსახურის მიერ #3226321 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
ამასთან გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში, #01.10.17.045.022 საკადასტრო ერთეულზე, სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით, წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.